სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030624261411221

25 / იანვარი / 2021 წ. **თბილისი #06-11/ო**

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის № 828 დადგენილებით განსაზღვრული „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის კომპონენტის“, „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის, „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის „დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტებზე, აივინფექციასა/შიდსა და სიფილისზე“ კომპონენტისა და „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში ვაუჩერის სახით სამედიცინო სერვისის მიმწოდებლად მსურველთა სარეგისტრაციო ფორმების, მათი შევსების წესის და საანგარიშგებო დოკუმენტაციის და მათი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე

„2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. დამტკიცდეს, „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის № 828 დადგენილებით განსაზღვრული, ვაუჩერის სახით სამედიცინო სერვისის მიმწოდებლად მსურველთა სარეგისტრაციო ფორმები, მათი შევსების წესი და საანგარიშგებო დოკუმენტაცია და მათი შევსების წესი თანდართული დანართების შესაბამისად:
ა) „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის „კიბოს სკრინინგის კომპონენტი“ **(დანართი#1);**
ბ) „იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა“ **(დანართი #2);**
გ) „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამის „დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტებზე, აივინფექციასა/შიდსა და სიფილისზე კომპონენტი“ **(დანართი #3);**
დ) „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის კომპონენტი“ **(დანართი #4).**
2. დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ტურძილაძეს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ნეიტანი მე-12 კილომეტრი).

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე